

**გერმანელთა დასახლებები (კოლონიები)
საქართველოში (XIX საუკუნე)
GERMAN SETTLEMENTS (COLONIES)
IN THE XIX CENTURY GEORGIA**

გიორგი იობაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Giorgi Iobashvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Following the conquer of the kingdom of Kartli-Kakheti by the government of Tsarist Russia, it started the colonization of this region. Russian government strived to transform Georgia and Transcaucasia into the market of its manufactory and a source of raw materials. For this purpose, it was necessary to have a reliable basis in the form of the loyal elements of Tsarism. To mitigate the unrest in the country and make it compatible with Russian economic interests, Tsarism started to settle foreign colonists in Transcaucasia. First of all, it tried to settle Russian colonists here, the attempt which ended unsuccessfully. Then it proceeded with settling of (mostly) German colonists in Georgia and the Transcaucasia.

The settlement of German colonists in the Russian Empire started becoming particularly active during the reign of Ekaterine II. They were given a number of privileges. In the years 1817-18, during the office of the viceroy Ermolov, settlement of Germans began in Transcaucasia. The number of colonies has reached eight. Six of them were located in Georgia. In total, their number reached 23 by 1870s.

Russian government believed that the Germans would teach locals to cultivate the land and handicrafts, however, since time immemorial the Georgian people have been working and cultivating farming adjustable to the local climate. The Germans learned a lot from them. Georgians also learned from German the European way of producing sausages and Swiss cheese, European wine making, etc. During these two hundred years, the Germans have created particular culture and history in Georgia and Transcaucasia which will enhance our bilateral relations with the Germans.

Today, a totally new era has begun in terms of relations between Georgia and Germany. The German nation expresses sympathy and support towards Georgia who has embarked on the way to freedom and independence, leading to even greater friendship in the future.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ისტორია, მეფის რუსეთის პოლიტიკა საქართველოში, გერმანელთა დასახლებები საქართველოში.

Keywords: History of Georgia, Tsarist Russian policy in Georgia, German settlements in Georgia.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობით მეფის რუსეთმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა თავის „აღმოსავლურ“ პოლიტიკაში, რომლის საბოლოო მიზანს კონსტანტინეპოლის, ბოსფორ-დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდება და შავი ზღვის რუსეთის შიდა ზღვად გადაქცევა წარმოადგენდა. საქართველოსა და ამიერკავკასიაში დამკვიდრებით მეფის რუსეთის წინაშე ახალი სამხედრო-სტრატეგიული პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემები დაისახა, რომელთა განსახორციელებლად მას მოუხდა მრავალი ღონისძიების გატარება. ამ ღონისძიებათა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი კავკასიის მთიანეთისა და ირან-თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომებს ეკავათ.

მეფის რუსეთი ცდილობდა ამიერკავკასია გადაეცია თავისი მანუფაქტურის ბაზრად და ნედლეულის წყაროდ, ხოლო ამისათვის საჭირო იყო საიმედო დასაყრდენი ცარიზმის ერთგული ელემენტების სახით. კოლონიური ჩაგვრისაგან შეწუხებული ადგილობრივი მოსახლეობის გამოსვლების საწინააღმდეგოდ და მათ მიერ რუსეთის მრეწველობისათვის საჭირო ტექნიკური კულტურების მოყვანის უკეთ ათვისების მიზნით ცარიზმი XIX საუკუნის პირველი წლებიდანვე იწყებს ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს კოლონიზაციას (მანჯგალაძე 1974: 4).

მხარის დამშვიდების და მისი რუსეთის სამეურნეო ინტერესებისათვის შეთავაზების მიზნით მეფის მთავრობამ დაიწყო უცხო კოლონისტების ჩამოსახლება ამიერკავკასიაში. ცარიზმს სურდა დაესუსტებინა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა უცხო, უმთავრესად კონსერვატული და შეძლებული ელემენტებისათვის მიეცათ ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლუატაციის საშუალება და შეექმნა თავისი ბატონობის დასაყრდენი ახლად დაპყრობილ ტერიტორიაზე. რუსეთის მეფის ხელისუფლება დაინტერესებული იყო ქვეყნის გარუსებით. ამ მიზნით პირველ რიგში ცდილობდა ჩამოესახლებინა რუსი კოლონისტები, მაგრამ მეფის რუსეთის ხელისუფლებას ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ ჰქონდა საშუალება ეწარმოებინა თვითონ რუსული კოლონიზაცია ამიერკავკასიაში. რამდენიმე ცდა რუსი კოლონისტების ჩამოსახლებისა წარუმატებლად დამთავრდა. ამის შემდეგ დაიწყო რუსეთის მეფის ხელისუფლებამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში უცხოელი კოლონისტების (მათ შორის გერმანელების) ჩამოსახლება.

ქართველი და გერმანელი ხალხების ურთიერთობის ისტორია საუკუნეებს ითვლის. მრავალი გერმანელი მოგზაური აღფრთოვანებულა

ჩვენი ხალხისა და ბუნების სილამაზით, ბევრის შემოქმედებისათვის კი საქართველო მუშის შთაგონების წყაროდ ქცეულა. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც საქართველოში XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან რუსეთის ცარიზმის ინიციატივით გერმანელი კოლონისტები დამკვიდრდნენ.

1806 წლის 26 ნოემბერს დაარსდა „კავკასიის გუბერნიაში საცხოვრებლად ჩამოსულ გლეხთა დამსახლებელი კომისია“, რომელმაც შეიმუშავა დებულება, რომლის თანახმადაც მთავრობა უნდა დახმარებოდა ჩამოსახლებულთ ფულით, თესლეულით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით, ხოლო ჩამოსახლებულთ უნდა აეგოთ საცხოვრებელი ბინები (მანჯგალაძე 1974: 5).

რუსეთის იმპერიაში უცხოელთა კოლონიზაციას საფუძველი ჩაეყარა ეკატერინე II-ის 1762 წლის 4 დეკემბრის მანიფესტით, რომლითაც რუსეთში დასასახლებლად ინვედნენ ყველა უცხოელს, გარდა ებრაელებისა. მაგრამ ეს მანიფესტი შეიცავდა ზოგად დაპირებებს და მასში კონკრეტულად არაფერი იყო ნათქვამი იმ დახმარებასა და შეღავათებზე, რომლებიც კოლონისტებს უნდა მიეცემოდათ, ამიტომ ამ მანიფესტს პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია.

1763 წლის 22 ივლისს ეკატერინე II-მ გამოსცა ახალი მანიფესტი, სადაც უცხოელებს, რომლებიც რუსეთში საცხოვრებლად ჩამოვიდოდნენ, რუსეთის იმპერიის ნებისმიერ მხარეში, ქალაქად თუ სოფლად, ეძლეოდათ მნიშვნელოვანი შეღავათები, ფულადი დამხმარება და სესხი 10 წლით, თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი გადასახადისაგან 10 წლის განმავლობაში და ა.შ.

ამ დროიდან იწყება რუსეთში უცხოელთა კოლონიზაცია. კოლონისტების ძირითად მასას გერმანელები წარმოადგენდნენ. მათი რუსეთში გადმოყვანა ხორციელდებოდა რუსი რეზიდენტების მეშვეობით, რომლებიც ხშირად იყენებდნენ ამ საქმეში ე.წ. „დამჭირავებლებს“, ანუ „გამომძახებლებს“ (იქვე).

1803 წლიდან უცხოელთა კოლონიები რუსეთის იმპერიაში სამართავად გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს. შინაგან საქმეთა მინისტრმა კოჩუბეიმ რიგი ღონისძიებები გაატარა და 1804 წლის დადგენილებით შეცვალა უცხოელ გადმოსახლებულთა წესები. ამ წესების თანახმად, ამიერიდან რუსეთის იმპერიაში კოლონისტებად უნდა მიეღოთ არა ყოველი უცხოელი, არამედ მხოლოდ ოჯახიანი, შეძლებული, კარგი ყოფაქცევისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ხელობის მქონე პირები ან ხელოსნები. ერთი წლის განმავლობაში გერმანიიდან უნდა მიეღოთ არა უმეტეს 200 ოჯახისა, ხოლო ისინი დიდხანს რომ არ ყოფილიყვნენ ხაზინის ხარჯზე, მათთვის წინასწარ უნდა შეერჩიათ დასასახლებლად ვარგისი ადგილები (იქვე: 9).

1810 წლიდან მთავრობამ უცხოელ გადმოსახლებულებს შეუწყვიტა თანხების მიცემა, რადგან ეს მძიმე ტვირთად აწვა ხაზინას, მაგრამ

უცხოელებს უფლება ჰქონდათ გადმოსახლებულიყვნენ რუსეთში საკუთარი თანხით. მათ ეძლეოდათ ყველა სხვა შეღავათი, რომლებიც ადრე გადმოსახლებულ კოლონისტებს ჰქონდათ მინიჭებული.

არც ერთი ეს შეზღუდვა არ გავრცელებულა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჩამოსახლებულ გერმანელ კოლონისტებზე, რაც იმის დამადასტურებლად უნდა ჩაითვალოს, რომ ამიერკავკასიაში უცხოელთა კოლონიზაციას ცარიზმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. შიდა რუსეთის გუბერნიისაგან განსხვავებით, ეს კოლონიზაცია ეკონომიურთან ერთად, პოლიტიკურ მიზნებსაც ისახავდა.

ისევე, როგორც რუს მოხელეთა დიდი უმრავლესობა, მთავარმართებელი ერმოლოვი საქართველოს სოფლის მეურნეობის დაბალ დონეს ადგილობრივ მკვიდრთა გაუნათლებლობითა და სიზარმაცით ხსნიდა (ციტირებულია: მანჯგალაძე 1974: 11). ამის გამო მას აუცილებლად მიაჩნდა მათთვის მაგალითის მისაცემად „დასახლებულ იქნას აქ შრომისმოყვარე გერმანელთა კოლონია, რომელთა კეთილი მაგალითი მეურნეობიდან სარგებლობის მიღებისა აიძულებს ადგილობრივ მცხოვრებთ მიბაძონ მათ“. ამასთანავე, ერმოლოვი კოლონისტებს ჰპირდებოდა ყოველგვარ დახმარებასა და მზრუნველობას.

თუმცა, როგორც საკითხის მკვლევრები აღნიშნავენ, მათ ბევრი ვერაფერი შემატეს საუკუნეთა სიღრმიდან წამოსულ და მტკიცე ქართულ სამეურნეო ტრადიციას, პირიქით, ბევრი გადაიღეს ქართველებისაგან (ბენდიანიშვილი... 2008: 189).

1817-1818 წლებში ამიერკავკასიაში გერმანელ კოლონისტთა ჩამოსახლებას ხელი შეუწყო გერმანიაში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პირობებმაც. გასული საუკუნის დასაწყისში გერმანიაში აღმოცენდა სექტანტური მოძრაობა, ე.წ. „სეპარატიზმი“. ხელისუფლების დევნამ სექტანტები აიძულა გადასახლებულიყვნენ ამერიკასა და რუსეთში. აღნიშნული მოძრაობა უფრო მეტად შესამჩნევი გახდა ვიუტემბერგში, ბავარიასა და შვეიცარიაში, რასაც ხელი შეუწყო იმ დროს ცნობილი მქადაგებლების – ბენგელისა და შტილინგის გავლენამ. ისინი წინასწარმეტყველებდნენ სამყაროს დასასრულის მოახლოებას და არწმუნებდნენ „სეპარატისტებს“, თავის გადარჩენა სამშობლოს გარეთ, კავკასიაში, არარატის მთასთან ახლოს ეძებნათ. შეშინებულმა სექტანტებმა კავკასიაში გამოგზავნეს „განსაკუთრებული მზვერავები“ ადგილის დასათვალთვინებლად და კოლონიზაციისთვის ხელსაყრელი გარემოს შესარჩევად. რუსეთის ხელისუფლება დათანხმდა გერმანელების ჩამოსახლებას მათთვის სასურველ ადგილზე (სონდულაშვილი 1995: 5).

1817 წლის დასაწყისში პირველნი ამიერკავკასიის კენავანგარდის სახით დაიძრნენ სოფელ შვაიკჰაიმის მცხოვრებნი 50 ოჯახის შემადგენლობით. მათ კვალდაკვალ 1817 წლის აპრილისათვის ამიერკავკასიაში

გამოსამგზავრებლად ქ. ულმში თავი მოიყარა 1400 ოჯახმა (7000-მდე კაცი). მათ უმრავლესობას ვიუტემბერგელები შეადგენდნენ. მათ გარდა მცირე რაოდენობით იყვნენ ბადენელებიც და თითო-ოროლა სხვადასხვა რჯულის ავანტიურისტები რაინისპირა გერმანიიდან. მათ შექმნეს ლარიბთა დახმარების კომიტეტი საერთო სალაროთი და აიძულებდნენ მდიდრებს თავისი კაპიტალის მეთაფი შეეტანათ ამ სალაროში. ასევე აირჩიეს წარმომადგენლები და ვენაში მიავლინეს ისინი რუსეთის საელჩოში და აცნობეს მათი გამგზავრების შესახებ რუსეთისაკენ. რუსეთის საელჩომ მათ აღუთქვა დახმარება და ამასთანავე ურჩიეს ამიერკავკასიისაკენ გამგზავრებულებიყვნენ სახმელეთო, გალიციის გზით (მანჯგალაძე 1974: 25).

გერმანელ კოლონისტთა ეს ჯგუფი არა გალიციის, არამედ ღუნაის გზით შეეცადა ამიერკავკასიაში შემოსვლას, მაგრამ მათ გადაიტანეს ძალიან დიდი გაჭირვება და ავადმყოფობა. ამ მგზავრობამ გამოიწვია მასობრივი ავადმყოფობა, ბევრი მათგანი გზაში გარდაიცვალა. ოღესაში ჩამოსულები კი გააჩერეს 50-დღიანი კარანტინით. ოღესაში ჩამოსული 50 გერმანული ოჯახიდან 31 საქართველოსკენ წამოვიდა (181 სულის შემადგენლობით). 1817 წლის 31 სექტემბერს ისინი თბილისში შემოვიდნენ. ეს კოლონისტები დაასახლეს სართიჭალის მახლობლად. კოლონიას ეწოდა მარიენფელდი (სონლულაშვილი 2018: 213). გერმანელთა პირველი ნაკადის თბილისის შემოგარენში გამოჩენამ ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი გაცოცხება გამოიწვია. მთავარმართებელმა ერმოლოვმა, რომელიც წინასწარ იყო გაფრთხილებული კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ამ უჩვეულო გამოცხადების თაობაზე, მათი მიზნებისა და მსჯელობის გაცნობის შემდეგ იფიქრა, რომ საქმე ჰქონდა გიჟებთან (იქვე). ერმოლოვმა დაიბარა წინამძღოლები და განუმარტა: „თქვენ რუსეთის მიწაზე იმყოფებით; აქ შეგიძლიათ იმოგზაუროთ მშვიდობიანად და უფლის მფარველობით, რამდენადაც ეს თქვენთვის სინდის-ნამუსის საკითხია, მაგრამ იცოდეთ, როგორც კი ჩვენს საზღვარს გასცდებით, აღმოჩნდებით სპარსეთის ტერიტორიაზე, მუსლიმებთან, რომელთაც ნაკლებად აინტერესებთ თქვენი მოგზაურობის მიზანი, თუკი სომხეთის (რომელიც ჯერ კიდევ არაა რუსული პროვინცია) მმართველები მონებად არ გაქცევენ და არ გაგამწესებენ თავიანთ მამულში სამუშაოდ. ხომ არ გგონიათ, რომ ქურთებს ამ დაუნდობელ ყაჩაღებს დაუძვრებით ხელიდან? ისინი ულმობლად გაგძარცვავენ, თანაც ჩათვლიან, რომ დიდი მონყალება გამოიჩინეს, მთლიანად რომ არ ამოგულიტეს და მხოლოდ მათი ჯოგების სამწყესად გაგამწესეს და კიდევ, თუკი დაუშვებთ, რომ სპარსელებსა და ქურთებს გადაურჩებით, თურქებსა და უდაბნოს არაბებს ნამდვილად ვერ დააღწევთ თავს“ (სონლულაშვილი 2018: 214).

ამ საუბარმა დიდად შეაშფოთა მოძრაობის წინამძღოლები. ერმოლოვის მიერ აღწერილი მომავლის სურათი მართლაც აღსავსე

იყო უთვალავი ხიფათით, თუკი ისინი ხელს არ აიღებდნენ თავიანთ განზრახვაზე; ამასთანავე, ხანგრძლივი მოგზაურობით გადაღლილობამ და თანამდევმა დაავადებებმა მათი რიცხვი საგრძნობლად შეამცირა, რამაც ერთგვარად გაანელა მათი შემართება. ისინი დათანხმდნენ შემოთავაზებულ პირობებს, რაც გულისხმობდა, რომ სამხრეთის რუსეთის სხვა კოლონისტების მსგავსად მათაც დააკმაყოფილებდნენ, თითოეულ ოჯახს საკუთრებაში გადასცემდნენ 35 დესეტინა სახნავ მიწას, აუშენებდნენ სახლებს, რომლის საფასურიც პროცენტის გარეშე ათი წლის მანძილზე უნდა გადაეფარათ. ამ დროის ამონურვის შემდეგ კი კოლონისტები დაიბეგრებოდნენ 20 კაპიკით ერთ დესეტინაზე, მანამდე კი ისინი ყოველგვარი ბეგარისაგან თავისუფლდებოდნენ (იქვე).

1818 წელს თბილისს გერმანელ კოლონისტთა დიდი ტალღა მოაწვა (500 ოჯახი). ისინი თბილისის გუბერნიის სხვადასხვა ადგილას დაასახლეს. მთავრობამ მათ მოსაწყობად გაიღო 65 ათასი მანეთი ოქროთი. თითოეულ კოლონისტ მუშა მამაკაცზე უნდა გამოეყოთ 35 დესეტინა სახნავი საუკეთესო ადგილებში სასმელი წყლით. გარდა ამისა, მკვიდრ მოსახლეობას აიძულებდა მიწები დაეხნათ და საშენი მასალა მიეწოდებინათ ჩამოსახლებულ მეახალშენეთათვის (კიკვაძე 1977: 1995).

1819 წლის ბოლოს სამხრეთ კავკასიაში სულ რვა კოლონია შეიქმნა, აქედან ექვსი საქართველოში იყო: 1. მარიენფელდი – 31 ოჯახი, კახეთის გზატკეცილზე (სართიჭალა); 2. თბილისის კოლონია – ქალაქის მაშინდელ გარეუბან კუკიაზე (ახლანდელი დავით აღმაშენებლის გამზირის ტერიტორია) – 51 ოჯახი. 1852 წელს ეს კოლონია, რომელიც ხელოსნებისაგან შედგებოდა, ქალაქს მიეკუთვნა, ხოლო 1861 წლიდან კოლონისტებს სარგებლობაში არსებული მიწები სრულ საკუთრებაში გადაეცათ (სონლულაშვილი 2018: 215). 3. ალექსანდერსდორფი – 23 ოჯახი (დაერქვა ალექსანდრე I-ის საპატივცემულოდ), მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თბილისის ჩრდილოეთით 6 ვერსის დაშორებით, დიდუბის სახაზინო მიწებზე (ახლანდელი სამტრედიის ქუჩის მიდამოებში); 4. პეტერსდორფი – 17 ოჯახით (სახელწოდება მიიღო პეტრე I-ის პატივსაცემად. ეს კოლონია დაარსდა მარიენფელდის მახლობლად; 5. ელიზავეტტალი – 65 ოჯახით (სომხითში – დღევანდელი ასურეთი); სახელწოდება მიიღო დასახლების ადგილის არჩევის დღესთან დაკავშირებით (1818 წლის ნოემბერი ახალი სტილით); 6. ეკატერინენფელდი – 116 ოჯახით (სახელწოდება მიიღო ვიუტენბერგის დედოფლის – ეკატერინე ჰავლეს ასულის საპატივცემულოდ). ეს კოლონია მდებარეობდა ბორჩალოს მაზრაში, ბოლნისთან, თბილისიდან 60 ვერსის მანძილზე (მანჯგალაძე 1974: 33). ჩამოსახლებული „სეპარატისტების“ დიდი ნაწილი სწორედ ეკატერინენფელდში დამკვიდრდა. ეს ტერიტორია ამავე დროს შერჩეულ იქნა სექტანტების ხელმძღვანელთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილად. ამის გამო ეკატერინენფელდის

კოლონიამ დაარსების დღიდანვე ყველაზე საპატიო ადგილი დაიკავა კავკასიაში არსებულ კოლონიათა შორის და ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დიდ როლს თამაშობდა კავკასიელ კოლონისტთა ცხოვრებაში (სონლულაშვილი 2018: 216).

კოლონისტების უმრავლესობა ძირითადად ჩამოვიდნენ გვიანი შემოდგომისა და ზამთრის დამდეგს, გამოიზამთრეს მიწურებში. 20-30 წლის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით ააშენეს ორსართულიანი, იშვიათად სამსართულიანი მასიური შენობები. ეს იყო ქვის სახლები თავისი ვერანდებით, აივნებით, დახურული შიდა ეზოებით და ღვინის მარნებით, რომლებიც წარმოადგენდნენ სამხრეთ გერმანული და კავკასიური საქალაქო არქიტექტურის ნარევს. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ამიერკავკასიის ყოველ გერმანულ კოლონიაში იყო ერთი ან რამდენიმე სწორად დაგეგმილი ფართო ე.წ. მთავარი ქუჩა, რომლებიც ერთმანეთის პერპენდიკულარულად უფრო ვიწრო ქუჩებით უერთდებოდნენ. კოლონიის შუაგულში მდებარეობდა მოზრდილი მოედანი, სადაც განლაგებული იყო კოლონიის სამმართველო, ეკლესია, სკოლა, საზოგადოებრივი შენობები და მალაზიები (აუგსტი 2011: 6).

1842 წელს კიდევ 20 ოჯახი ჩამოვიდა გერმანიიდან და რუსეთიდან. ისინი აბასთუმნის მახლობლად დასახლდნენ და კოლონიას ფროიდენტალი დაარქვეს.

1848 წლამდე გერმანულ კოლონისტთა დასახლებები ჩვენში იწოდებოდნენ „საქართველოს გერმანულ კოლონიებად“, ხოლო აღნიშნული წლიდან მათ „ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების“ სახელწოდება მიიღეს (მანჯგალაძე 1974: 33).

კოლონისტების მხოლოდ მესამე თაობამ იგრძნო ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც დაიწყო XIX საუკუნის 70-იან წლებში, ამიერკავკასიაში აგრარული რეფორმის შემდეგ. ეს აღმავლობა იყო დამატებითი მუშახელის გამოთავისუფლების შედეგი. ამავე დროს იყო გაშვებული ექსპლუატაციაში ბაქო-თბილისისა და თბილისი-ფოთის რკინიგზა, რამაც გააადვილა პროდუქციის რეალიზაციის საკითხი. ამავე რეფორმით კოლონისტებს ჩამოერთვათ განსაკუთრებული უფლებები, გაუუქმდათ თვითმმართველობა, დაეკისრათ სამხედრო ვალდებულებები და გერმანული სკოლები რუსულ სახალხო სკოლებად გადაკეთდა. კოლონისტების ძირითადი საქმიანობა მევენახეობა და მეცხოველეობა იყო. გადმოცემების მიხედვით, მათ აგრეთვე ზოგიერთი პროდუქტის (სხვადასხვა სახის ძეხვეულის, შვეიცარიული ყველის, ლუდის) დამზადების ტრადიციასაც ჩაუყარეს საფუძველი. XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში კოლონისტების რამდენიმე მსხვილი მეურნეობა შეიქმნა: კუჩინბახი, ფორერი, ფოგელი და სხვა.

კუკიაზე დასახლებული კოლონისტების ძირითადი საქმიანობა ხელოსნობა იყო. მათი ნაწარმი კარგად იყიდებოდა, განსაკუთრებით

ოთხთვალა ეტლი. 1903 წლამდე გერმანული კოლონიები ექვემდებარებოდნენ უშუალოდ კავკასიის სახელმწიფო უმაღლეს ხელისუფლებას, რამაც სავარაუდოა დიდმნიშვნელოვნად განაპირობა მათი განვითარება, რადგან ისინი ყოველთვის იყვნენ „საჩვენებელი ობიექტები“ ბაქოში ან სპარსეთში მიმავალი ჩინოვნიკებისა და უცხოელი მოგზაურებისათვის.

კოლონისტებს შორის იყვნენ ე.წ. „სეპარატისტები“, რომლებიც აპირებდნენ საქართველოდან პალესტინაში გადასახლებას. იქ ისინი მეორედ მოსვლას და „ათასწლოვან სამეფოს“ უნდა შეხვედროდნენ. 1843 წელს „სეპარატისტებმა“ მთავრობის მხარდაჭერით გააგზავნეს პალესტინაში სამი დეპუტატი, რომლებიც დაბრუნდნენ იმ აზრით, რომ იქ დასახლება შეუძლებელი იყო მიწის უნაყოფობისა და ბედუინების განუწყვეტელი თარეშის გამო. ამის შემდეგ „სეპარატისტები“ კვლავ დაუბრუნდნენ ლუთერულ ეკლესიას (მანჯგალაძე 1974: 18).

გერმანელების რაოდენობა საქართველოში მკვეთრად იზრდება განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უცხოურმა და კერძოდ გერმანულმა კაპიტალმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი რუსეთის იმპერიაში.

XIX საუკუნის დამდეგისათვის გერმანელების ძველ კოლონიათა ბაზაზე წარმოიშვა ახალი დასახლებანი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კავკასიის ადმინისტრაციის ცდას, ჩამოესახლებინა ისინი დასავლეთ საქართველოში, შედეგი არ მოჰყოლია. ამაში თვით კოლონისტებს მიუძღვით ბრალი (სონდლულაშვილი 1995: 218).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამი გერმანული დასახლება შეიქმნა სოხუმის მახლობლად: ნოიდორფი (ახალსოფელი), გნადენბერგი (ძველი ძიკუთა და ლინდაუ, სოფელი სინდავა). წალკის მახლობლად აღექსანდერსფილდი, ხოლო გეორგფელდი, აიგენფელდი, გრუნფელდი და ტრაუბენფელდი ძველი კოლონიების მახლობლად.

მთლიანობაში საქართველოში გერმანული დასახლებების რიცხვმა 23-ს მიაღწია. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან რუსეთის მეფის ხელისუფლება ნაკლებ ყურადღებას იჩენდა ამიერკავკასიაში გერმანული კოლონისტების ჩამოსახლებით და ზოგჯერ კრძალავდა კიდევ მას, რაც იმ დროს შექმნილი პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული.

გერმანელი კოლონისტები სარგებლობდნენ რა ცარიზმის მიერ მინიჭებული პრივილეგიებით, ძლიერდებოდნენ ეკონომიკურად და წარმოადგენდნენ რუსეთის ცარიზმის დასაყრდენს. ადგილებზე ჰქონდათ რა განსაკუთრებული მმართველობა, კოლონისტები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გვერდის ავლით, უშუალოდ ემორჩილებოდნენ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას. ცარიზმის მიერ დანესებული განსაკუთრებული მმართველობა კოლონისტებს იცავდა საგუბერნიო და სამაზრო ბიუროკრატისაგან.

დამონმებული ლიტერატურა

აუგსტი 2011: საქართველოში გერმანელების ისტორიის საკითხები, შემდგენელი ვარი აუგსტი, თბილისი, 2011.

არქიტექტურა 2017: არქიტექტურა დროსა და ადამიანებს შორის გადებული ხიდი; რედაქტორები: რიდელი, ს. ჩაკვეტაძე, ი. ჭოლოშვილი, ნ. ცომაია, თბილისი, 2017.

ბენდიანიშვილი... 2008: ბენდიანიშვილი ა., დაუშვილი ალ. სამსონაძე მ., ქოქრაშვილი ხ., ჭუმბურიძე დ., ჯანელიძე ო. , რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. თბილისი, 2008.

კიკვიძე 197: კიკვიძე ა. , საქართველოს ისტორია. თბილისი, 1977.

მანჯგალაძე 1974: მანჯგალაძე გ., გერმანელი კოლონისტები ამიერ-კავკასიაში. თბილისი, 1974.

სონლულაშვილი 1995: სონლულაშვილი ა., გერმანელები საქართველოში. თბილისი, 1995.

სონლულაშვილი 2018: სონლულაშვილი ა., საბჭოური პოლიტიკა და ეროვნული უმცირესობები. თბილისი, 2018.